

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები - 2018

27 ნოემბერს, ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა.

არჩევნებამდე პროფესიული პროგრამების ცალკეულ ჯგუფში წინასწარ ჩატარდა თვითმმართველობაში წარსადგენი კანდიდატურების (ჯგუფიდან 2 პროფესიული სტუდენტის) აღჩევა.

თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევა ჩატარდა ფარული კენჭისყრით. თვითმმართველობის 28 კანდიდატმა დაასახელა 5 პროფესიული სტუდენტი (თვითმმართველობის საბჭო): შაშიკაძე მაშო, ზაქარიაძე ანა, ბერიძე ანრი, კობალაძე მარიამ და ხიმშიაშვილი ანა. დასახელებული კანდიდატებიდან ხმათა უმრავლესობით (16 ხმა) თვითმმართველობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ანრი ბერიძე. თვითმმართველობის საბჭოს წევრებზე განისაზღვრა შემდეგი ფუნქციები:

თვითმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე - მაშო შაშიკაძე;

კულტურული ღონისძიებების სექტორის ხელ-ლი - მარიამ კობალაძე;

სპორტული ღონისძიებების სექტორის ხელ-ლი - ანა ხიმშიაშვილი;

საბჭოს მდივანი - ანა ზაქარიაძე.

ხმის დამთვლელთა კომისიაში მონაწილეობდა სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.



